ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, პასტერის ქ. №5/7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.08.009.048) არსებული საოფისე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი:  მაკა ძიძიგური

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 9

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, პასტერის ქ. №5/7 (ს/კ: 01.13.08.009.048)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საოფისე შენობის რეკონსტრუქცია

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“/

/ ლევან ხუხაშვილი

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე საექსპერტო დასკვა მოიცავს:

12) ლიფტის შეფასებას;

13) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

არსებული სარეკონსტრუქციო შენობა არის ოთხსართულიანი, რომელსაც თავის დროზე დაშენებული აქვს ორსართულიანი მანსარდა. მანსარდის იატაკების კონსტრუქცია არის ლითონის, რომლებიც განმარტებითი ბარათის მიხედვით დამუშავებულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ხსნარით. ამ ლითონის კონსტრუქციებზე მოწყობილია რკინაბეტონის ფილები, რომლებსაც ასევე გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. შენობის ქვედა სართულების იატაკის კონსტრუქციები არის ხის, თუმცა შეფუთულია სპეციალური საიზოლაციო მასალებით (ქვაბამბა, ორმაგი თაბაშირ-მუყაო და ა.შ), რაც, ასევე განმარტებითი ბარათის მიხედვით, უზრუნველყოფს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობას (იხ. ჭრილის დეტალი). წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ითვალისწინებს „4[1]-6“ და „დ-ე“ ღერძებს შორის, ყველა მიწისზედა სართულზე, კიბის უჯრედისა და ლიფტის მიშენებას; მიწისქვეშა სართულზე სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახის მიშენებას; 0.00 ნიშნულზე კვების ბლოკის, ტერასისა და სასაწყობო სივრცის მიშენებას; +3.74 ნიშნულზე საკონფერენციო ოთახისა და სასაწყობო სივრცის მიშენებას; პროექტით აგრეთვე გათვალისწინებულია „1-1[1]“ ღერძებს შორის გარე გასასვლელის გზა-კიბის მიშენება.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

   პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (სახანძრო ავზების და ტუმბოს ოთახი -2.40 ნიშნულზე)
  <u>აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.</u>

- **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (ინვენტარის საწყობი -0.45 და +2.00 ნიშნულებზე)

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (საკონფერენციო ოთახები ±0.00 და +3.74 ნიშნულზე; საოფისე ფართები ±0.00 ნიშნულიდან +18.17 ნიშნულის ჩათვლით)
  <u>აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.</u>

- **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** (კაფე და სამზარეულო ±0.00 ნიშნულზე).
  <u>აღნიშნული შეესაბამება 303.3 ქვეთავს.</u>

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვები ანუ, ძირითადად, 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არჩეულია სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე, კერძოდ:

- სახანძრო ავზებისა და ტუმბოს ოთახისთვის (**დს**) და მცირე სასაწყობო სივრცეებისათვის (**სწ-1**) მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და შემდგომ ამ ოთახის მთლიანი ფართობი გაყოფილია 27,9-ზე;

- საოფისე ფართებისთვის **(სქ)** მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის სტატუსი და შემდგომ ამ სივრცეების მთლიანი ფართობი გაყოფილია 9,3-ზე;

- სასადილოსთვის (**თვ-2**) მიკუთვნებულია არაფიქსირებული დასაჯდომებიანი თავშეყრის (არაკონცენტრირებული) სტატუსი და მისი სუფთა ფართობი გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის ფაქტორზე ანუ 1,4-ზე;

- სამზარეულოსთვის (**თვ-2**) მიკუთვნებულია კომერციული სამზარეულოს სტატუსი და მისი მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

რაც შეეხება ±0.00 და +3.74 ნიშნულზე განთავსებულ საკონფერენციო ოთახებს **(სქ)** მათი დაკავებულობის დატვირთვა განსაზღვრულია დამკვეთელთა რეალური რაოდენობის მიხედვით, რაც დასაშვებია 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა, სარეკონსტრუქციო შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და აკმაყოფილებს, 503 ცხრილის მოთხოვნებს. რეკონსტრუქციის დროს, თავისთავად, შესაფასებელია არსებული შენობის კონსტრუქციები, რაზეც წინამდებარე საექსპერტო შეფასების „შინაარსში“ უკვე ვისაუბრეთ და უნდა ითქვას, რომ პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, სათანადო შეფუთვის შემდგომ უზრუნველყოფილი იქნება სართულშუა ხის გადახურვების 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. ასევე სახურავის კონსტრუქციის 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (იხ. ჭრილის დეტალიები). რაც შეეხება არსებული შენობის მზიდ კედლებს, ისინი გახლავთ 50 სმ სისქის აგურის წყობის (იხ. შ.პ.ს „ბაზისი-XXI“-ს ტექნიკური დასკვნა) და მათ 721.1(2) ცხრილის მიხედვით, გააჩნია 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).
შენიშვნა: კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის (**I-B**) გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 20.84 მ, ხოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 19.0 მ-ზე ანუ 23 მ-ზე დაბლა, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროექტო შენობა არ არის მაღლივი (მაღლივი შენობის განმარტება იხ. 202-ე ქვეთავში)

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.</u>

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის ყველა სართულს (გარდა მიწისქვეშა სართულისა) დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), ესაჭიროება მინიმუმ 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. განვიხილოთ გასასვლელი საშუალებები სართულების მიხედვით:

- -2.40 ნიშნულზე მდებარე სართულს, სადაც მხოლოდ სახანძრო ავზებისა და ტუმბოს ოთახია განთავსებული, დაკავებულობის (დს), დაკავებულობის დატვირთვის (49-ზე ნაკლები) და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის (23 მ-ზე ნაკლები) გათვალისწინებით ყოფნის ერთი გასასვლელი საშუალება, რაც პროექტში გათვალისწინებულია „4^1-5“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით, რომელიც -0.60 ნიშნულზე, შუალედური ბაქნიდან, პირდაპირ გადის შენობის გარეთ;

- შენობის ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართულს, ცხრილის მიხედვით, ესაჭიროება 2 გასასვლელი, თუმცა გეგმარების თავისებურებიდან გამომდინარე გააჩნია 4 გასასვლელის გზა-კარი (ფაქტიურად უფრო მეტიც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო პროექტის ავტორს დანარჩენი კარები აუცილებელ გასასვლელ საშუალებად მიჩნეული არ აქვს), ვინაიდან შენობიდან გამოსასვლელის დონე ანუ ±0.00 ნიშნულზე მდებარე სართული მიწის დონიდა ოდნავ ზემოთაა, ყველა ზემოთხსენებული გზა-კარიდან ჯერ ვხვდებით ბაქნებზე, ხოლო შემდგომ რამდენიმესაფეხურიანი გარე გზა-კიბეებითა და ერთ შემთხვევაში შშმპ პანდუსით - ეზოში. თითქმის ყველა აღნიშნული გზა-კარი (არამარტო ორი აუცილებელი გზა-კარი), მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, ანუ ისინი ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია პირველი სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის არანაკლებ ერთმესამედზე.

- ინვენტარის საწყობებს აკავშირებს მონაცვლესაფეხურიანი კიბე, რომელიც +2.00 ნიშნულზე მდებარე საწყობის ერთადერთი გასასვლელი საშუალებაა, რაც დასაშვებია, როგორც 1021.2(2) ცხრილით, ასევე, ექსპერტის აზრით, 1009.13 ქვეთავითაც, რადგან მიუხედავად იმისა, რომ +2.00 ნიშნულზე მდებარე სივრცე არ არის ანტრესოლი, მისი ფართობი არ აღემატება 23 კვ.მ-ს, დაკავებულობა არის **სწ** ჯგუფის, ხოლო დაკავებულობის დატვირთვა 5-ზე ნაკლები.

- საპროექტო შენობის ყველა ზედა სართულის გასასვლელ საშუალებას წარმოადგენს: „1^1-1“ ღერძებს შორის მდებარე გარე გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც 1026-ე ქვეთავის შესაბამისად არის მოწყობილი და „4^1-5“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე. ორივე გზა-კიბე პირდაპირ მიემართება შენობის გარეთ. 1009.16 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეების სახურავის ზედაპირამდე გაგრძელება საჭირო არ არის, რადგან სახურავის ქანობი აღემატება 33%-ს. გზა-კიბეებთან მისადგომი გზა-კარები, 1015.2.2 ქვეთავის თანახმად, მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით, ანუ

ისინი ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის გათვალისწინებით), დაშორებულია სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ერთმესამედზე მეტით. ზემოაღნიშნული ორივე გზა-კიბე, 1009.3.1.2, 1022.2 და 1026.6 ქვეთავების თანახმად, შიდა სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რომლის ღიობები, 716.5 ცხრილის თანახმად, დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარის ანაწყობებით. რაც შეეხება „4-5“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბის გარე კედლებს, მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი რეგულირდება 602 ქვეთავის მიხედვით და ამ შემთხვევაში „4-5“ ღერძებს შორის მდებარე გარე კედელს (სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9.0 მ-ზე მეტია) ცეცხლმედეგობის ხარისხი საერთოდ არ ესაჭიროება, ხოლო რაც შეეხება „5“ ღერძზე მდებარე გარე კედელს, აქ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6.0 მ-ზე მეტია და 705.8 ცხრილის თანახმად დასაშვებია შეუზღუდავი ფართობის დაუცველი ღიობები (რადგან შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით), რაც ლოგიკურად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაშიც კიბის გარე კედელს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ ესაჭიროება. აღნიშნული შიგა გასასვლელის გზა-კიბე ნიავდება ბუნებრივად.

შენიშვნა №1: 716.5.1 ქვეთავის თანახმად, ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარის ანაწყობები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

შენიშვნა №3: 1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას,

სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- გზა-კიბეებს, აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია კვამლის მექანიკური გაწოვის სისტემა (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა : დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- შენობიდან მიწის დონეზე მოხვედრა, ხდება რამდენიმესაფეხურიანი გარე გზა-კიბეების და შშმპ პანდუსის მეშვეობით, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთიდან საზოგადოებრივ სივრცეში (ლ. პასტერის ქუჩაზე) მოხვედრა შესაძლებელია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გავლით, რომელიც სერვიტუტითაა დატვირთული;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- „1^1-1“ და „4-5“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე (მოაჯირებს შორის) არის 1.06 მ, ხოლო „6“ და „ე“ ღერძების გასწვრივ მოწყობილი

გარე გზა-კიბეების სიგანე, რომლებიც ±0.00 ნიშნულს მიწის დონესთან აკავშირებს, არის 1.20 მ (ამ კიბეების სიმაღლე 75 სმ-ზე ნაკლებია და მოაჯირები არ ესაჭიროება). რაც შეეხება „2-3“ ღერძებს შორის მდებარე არსებულ გარე კიბეს, მისი სიგანე განსაზღვრულია სახელურებს შორის და არის 2.46 მ (კონფიგურაციიდან გამომდინარე ამ კიბეს არ გააჩნია სავალი ზედაპირის ღია მხარე და ამიტომ მოაჯირები არც აქ გვხვდება). კიბეების სიგანე აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. სადაც ეს აუცილებელია, კიბეების სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია ყველა კიბის ორივე მხარეს, 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს. ამას გარდა შენობაში არის გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე (რომელიც ±0.00 ნიშნულს -0.45 ნიშნულთან აკავშირებს) და მონაცვლესაფეხურებიანი გზა-კიბე (რომელიც სასაწყობე ფართობებს აკავშირებს), რომელთა სიგანეები და ა.შ ასევე აკმაყოფილებდეს „წესების“ მოთხოვნებს.

- შშმ პირთა პანდუსის სუფთა სიგანე (სახელურებს შორის) არის 90 სმ-ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს 1010.6.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- დერეფნების მინიმალური სიგანე არსად არის 1.20 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1018.2 ცხრილის და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

<u>გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

6. მისაწვდომობის შეფასება:

- შენობის პირველი სართული (±0.00 ნიშნული) ანუ შენობაში შესასვლელ-გამოსასვლელი ძირითადი დონე არის მისაწვდომი, რასაც განაპირობებს მიწის დონესთან დამაკავშირებელი ერთი 6%-იანი ქანობის მქონე პანდუსი, რომელიც მოწყობილია ერთ-ერთ მთავარ შესასვლელთან. 1105.1 ქვეთავის თანახმად, ამ შემთხვევაში ერთი პანდუსი საკმარისია, რადგან საპროექტო შენობას აქვს მხოლოდ ორი მთავარი შესასვლელი, რომლის 50% ანუ ერთი შესასვლელი არის მისაწვდომი;

- შენობის ყველა დონე არის მისაწვდომი გარდა -2.40, და +2.00 ნიშნულებისა, სადაც მდებარეობს დამხმარე ფართობები, რომელთა საერთო ფართობი არ აღემატება 280 კვ.მ-ს, მდებარეობს მისაწვდომი დონის ზემოთ და ქვემოთ და 1104.4 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზი არ ესაჭიროება;

- შენობაში არის 1 ლიფტი, რომლის კაბინის გაბარიტები არის მისაწვდომი. ამასთან ვინაიდან საპროექტო შენობა არის შენობიდან გამოსასვლელის დონიდან ოთხ სართულზე მეტი, 1007.2.1 ქვეთავის თანახმად, ეს ლიფტი საჭიროა, რომ იყოს აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება და აკმაყოფილებდეს 1007.4 ქვეთავის მოთხოვნებს, რაც პროექტით გათვალისწინებულია (იხ. განმარტებითი ბარათი);
  შენიშვნა : მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, 1007.3 ქვეთავის №1 გამონაკლისის თანახმად, გზა-კიბის მოაჯირებს შორის 1.2 მ სიგანე საჭირო არ არის;

- ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, გზა-კიბეების ფარგლებში თავშესაფრის ფართობების მოწყობის საჭიროება, 1007.3 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად, არ არის.

- შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს. მისაწვდომი ტუალეტები მოწყობილია ერთი სართულის გამოტოვებით, ხოლო გამოტოვებული სართულის უკიდურესი სივრციდან ტუალეტებამდე მისასვლელი სავალი გზის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს, რაც დასაშვებია და შეესაბამება 1602.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- სასადილო ფართობი არის მისაწვდომი, სადაც სასადილო ზედაპირების რაოდენობის 5% არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1108.2.9.1 ქვეთავში მოთხოვნილ რაოდენობას.

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, არის მისაწვდომი;

- გარე ავტოსადგომზე გათვალისწინებულია 1 ადგილი შშმ პირთათვის, რაც ავტომობილების რაოდენობიდან გამომდინარე აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ყველა სართულის გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

<u>შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ.პ.ს „ბაზისი-XXI„-ის მიერ მოზადებული ტექნიკურ დასკვნის მიხედვით, არსებული შენობის გარე კედლები არის 50 სმ

სისქის აგურის წყობის, ხოლო მიშენებული (საპროექტო) ნაწილის გარე კედლები არის მინიმუმ 10 სმ სისქის ბეტონის ბლოკის. აღსანიშნავია, რომ ამ მასალებით ნაშენებ კედლებს, 721.1(2) ცხრილის თანახმად, გააჩნია 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობა, თუმცა 602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ყველაზე კრიტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებითაც კი, 1 საათს არ აღემატება (რა თქმა უნდა, გარდა არსებული შენობის გარე კედლებისა, რომლებიც მზიდია და რომლებისთვისაც 601 ცხრილის მიხედვით, I-B ტიპის კონსტრუქციიდან გამომდინარე 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხია საჭირო). ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია პროექტის ავტორის მიერ და ასახულია, როგორც გრაფიკულად, ასევე შესაბამის ცხრილში. რაც შეეხება „5“ ღერძზე მდებარე გარე კედელს, აქ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 6.0 მ-ზე მეტია და 705.8 ცხრილის თანახმად დასაშვებია შეუზღუდავი ფართობის დაუცველი ღიობები (რადგან შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით), რაც ლოგიკურად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაშიც კიბის გარე კედელს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ ესაჭიროება.

- გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობი შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს (გარე კედლების ხანძარმედეგობა და კედლის ღიობების პროცენტულობა დეტალურად არის წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში (გვ. 3,4);

- ვინაიდან შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, 705.8.5 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში გამიჯვნის საჭიროება არ არის;

- გარე კედლებს არ გააჩნია პარაპეტი, რაც ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის რადგან დაცულია 705.11 ქვეთავის №3 გამონაკლისის მოთხოვნები;

შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის

პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- არსებული შენობის სახურავი არის ქანობიანი, რომლის ქვეშ მოწყობილია მანსარდის სართულები (ორი სართული). სახურავის კონსტრუქციის ძირითად ნაწილებს წარმოადგენს ლითონის ელემენტები (იხ. ტექნიკური დასკვნა). რაც შეეხება მიშენებებულ ნაწილს, აქ სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა;

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, რაც პროექტში გათვალისწინებულია, კერძოდ: სახურავის კონსტრუქციის ლითონის ელემენტები დამუშავებულია ცეცხლმედეგი ხსნარით; ფენილად გამოყენებულია მასიური ხის ფიცრები, რაც დასაშვებია 1 საათიანი ცეცეხლმედეგობის მქონე სახურავის კონსტრუქციებში, 601 ცხრილის „გ“ სქოლიოს თანახმად; ბურულად გამოყენებულია თუნუქის ფურცლები, რომლის ხანძრის კლასიფიკაცია განეკუთვნოს B კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც

ტესტირების დროს უშლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას). საიზოლაციოდ გამოყენებულია ქვა- ბამბა (იხ. განმარტებითი ბარათი და ჭრილის დეტალი).

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე შენობის ყველა იატაკის კონსტრუქციას უნდა გააჩნდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრილი 601), რაც პროექტით გათვალისწინებულია (ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) და შესაბამისად დაკავებულობების აუცილებელი თარაზული გამიჯვნის მოთხოვნები, რაც 508.4 ცხრილში საათების მიხედვითაა დადგენილი, დაცულია (მითუმეტეს ავტოსაშხეფი სისტემის გათვალისწინებით).

- რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1) სახანძრო ტუმბოს ოთახი **(დს)**, რომელსაც 913.2.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის მიხედვით ესაჭიროება 1 საათიანი ცეცხლმედეგი შემომზღუდავები,

განთავსებულია -2.40 ნიშნულზე და ყველა მხრიდან გააჩნია გაძლიერებული ბეტონის კედლები, რითაც უზრუნველყოფილია გაცილებით მეტი ხარისხის დაცვა. ტუმბოს ოთახის კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 45 წთ, რაც შეესაბამება 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

2) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1009.3.1.2 და 1022.2 ქვეთავების თანახმად, გზა-კიბეები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, ხოლო გზა-კიბეების ღიობები დაცულია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

3) შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი, რაც აკმაყოფილებს 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს. ლიფტის კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი;

შენიშვნა №1: 716.5.1 ქვეთავის თანახმად, ანჯამიანი ან ღერძზე მოძრავკარიანი ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი, რომელიც კვამლგაუმტარი ზღუდის კედელში არ მდებარეობს, NFPA 252-ის ან UL 10 C-ს შესაბამისად უნდა შემოწმდეს. ცეცხლმედეგი კარის ანაწყობები NFPA 80-ის შესაბამისად უნდა დამონტაჟდეს.

შენიშვნა №2: 716.5.2 ქვეთავის თანახმად, ლიფტის კარის ანაწყობები NFPA 252-ის ან UL 10B-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს.

შენიშვნა №3: საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3. ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.

- დაკავებულობებისა და ავტოსაშხეფი სისტემის გათვალისწინებით, 1018.1 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნის კედლებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა იმ ფართობებისა, სადაც „წესების“ მიხედვით განსაზღვრული არ არის;

  შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- სახანძრო ტუმბოს ოთახი აღჭურვილია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

  შენიშვნა: ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები უნდა მოეწყოს 904-ე ქვეთავის შესაბამისად.

- დერეფნებში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.

  შენიშვნა: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

  1) 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
  2) 907.2.15 და 903.3.1.1.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლის/ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებული სახანძრო ტუმბოს ოთახში, ლიფტის სამანქანოში და დერეფნებში;

შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობის -2.40 ნიშნულზე განთავსებულია სახანძრო ტუმბოს ოთახი;

შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913 ქვეთავის მოთხოვნები.

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით.

შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2-912.5 ქვეთავების მოთხოვნებს (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა საპროექტო შენობაში, დაკავებულობების და დაკავებულობის დატვირთვების გათვალისწინებით, შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს;

- ყველა სართულზე მოწყობილია სამომსახურო ნიჟარა;

- ყველა დაკავებულობა/სართული უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

  შენიშვნა: წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა დეტალურად არის ასახული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი“-ს ცხრილში (გვ. 8,9)

  წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. ლიფტის შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 1 ლიფტი, რომელსაც არ გააჩნია ცეცხლმედეგი კედლებით შემოზღუდული ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის N4 და N6 გამონაკლისების თანახმად, რადგან შენობა მთლიანად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, არ არის მაღლივი და არ მოიცავს დწ-2 და დწ-3 ჯგუფის დაკავებულობებს, ამასთან ლიფტის შახტა არის დაწნევადი (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

- ლიფტის შახტის ბოლოში გათვალისწინებულია საჰაერო ნახვრეტი, თუმცა 1704.1 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, მისი მოწყობის აუცილებლობა არ არის ვინაიდან შენობა მთლიანად არის აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით და არ მოიცავს ღამის გასათევ ადგილებს;

- როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვინაიდან საპროექტო შენობა არის შენობიდან გამოსასვლელის დონიდან ოთხ სართულზე მეტი, 1007.2.1 ქვეთავის თანახმად, ეს ლიფტი საჭიროა, რომ იყოს აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება და აკმაყოფილებდეს 1007.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენიშვნა: მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა, აგრეთვე, იმის საშუალებას, რომ მასში 60სმ X 2,15მ. ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცე განთავსდეს, რაც აკმაყოფილებს 1702.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა: ლიფტები უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.

ლიფტებითან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

13. ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის ეზოში გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომი, რომელიც სულ რამდენიმე ადგილზეა გათვლილი. ავტოსადგომთან მიდგომა ხდება ერთი ცალმხრივი საავტომობილო გზის (შესასვლელ/გამოსასვლელი) მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნებს..

- საავტომობილო გზების მინიმალური სიგანე არის 4.35 მ, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ავტომობილთათვის განკუთვნილი ადგილის ზომები (2,4მ x 5,5მ) სრულ შესაბამისობაშია 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებთან;

- დაცულია აგრეთვე 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნები ავტოსადგომების ზომების, განლაგების და გასავლელების მიმართ;

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტოსადგომზე გათვალისწინებულია 1 ადგილი შშმ პირთათვის, რაც აკმაყოფილებს 1106.1 ცხრილის მოთხოვნებს.

<u>ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

დ ა ს კ ვ ნ ა:

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, პასტერის ქ. №5/7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.08.009.048) არსებული საოფისე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად

<u>გაფრთხილება!</u>

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.
3. სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), აგრეთვე სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი და

ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

4. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად
- სახანძრო განგაშის სისტემები
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

5. ყველა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
6. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
7. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი: მაკა ძიძიგური

<u>გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)</u>

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

მისამართი: ქ. თბილისი, მობ: 577 15 11 27

ბერიტაშვილის ქ. 31 mail: makadzidziguri@yahoo.com

მაკა ძიძიგური

პერსონალური მონაცემები:

დაბადების თარიღი: 28.08.1970წ.
დაბადების ადგილი: ქ.თბილისი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ეროვნება: ქართველი

განათლება:

1987-1994 ქ. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი - არქიტექტურის ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება:

1994-1997 შ.პ.ს "გრასინტერპროექტი" – არქიტექტორი

2002-2004 შ.პ.ს "თბილქალაქპროექტი" – არქიტექტორი

2004-2005 შ.პ.ს "პირამიდა-98" – არქიტექტორი

2005-2007 ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური – ქალაქგეგმარების განყოფილება წამყვანი სპეციალისტი

2007 აპრილი
2007 ოქტომბერი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური – სანებართვო განყოფილება მთავარი სპეციალისტი

2007 ოქტომბერი
2007 დეკემბერი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი

2007 დეკემბერი *2008 ოქტომბერი*	ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარცხენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2008 ოქტომბერი *2008 დეკემბერი*	ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2008 დეკემბერი *2010 ოქტომბერი*	ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2010 ოქტომბერი *2015 იანვარი*	ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური - I და II კლასების სანებართვო განყოფილების უფროსი

სერთიფიკატები:

23.04.05წ. - 05.05.05წ.	ქალაქებისა და ახალი ურბანული ერთეულების განვითარება მენეჯმენტის საკითხებში (კაირო, ეგვიპტე)
01.11.07წ. - 30.11.07წ.	საჯარო სექტორის საკითხებში მენეჯმენტის კურსი (კუალა ლუმპური, მალაიზია)
09.01.09წ. – 14.01.09წ.	ტრენერთა ტრეინინგის კურსი
17.03.17წ. – 11.04.17წ.	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების კურსი

უცხო ენები:

ქართული	–	ძალიან კარგად
ინგლისური	–	კარგად
რუსული	–	ძალიან კარგად

პროგრამები: ***MS Office (MS Word, Excel); AutoCAD; ArchiCAD; Power Point; Photoshop.***

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 003930

This is to certify that Mr./Mrs. Maka Dzidziguri in the year 1994 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 12, 1995 Mrs. Maka Dzidziguri is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector ...

Seal

Chairman of the State Examination Board ...

Dean ...

City Tbilisi November 20, 2001

Registration № 04135 Secretary ...

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 003930

მიეცა ქალბატონ მაკა ვაჟას ასულ ძიძიგურს

მასზედ, რომ მან 1994 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 12. VII გადაწყვეტილებით ქალბატონ მაკა ვაჟას ასულ ძიძიგურს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი ...

ბეჭედი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ...

დეკანი ...

ქალაქი თბილისი 20. XI. 2001წ.

სარეგისტრაციო № 04135 მდივანი ...


სერტიფიკატი

№ 2017-020

გადაეცემა

მაკა ძიძიგურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი